სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში 2022

ს.კაჭრეთი, 2022 წელი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა ---------- 3

1. ძირითადი მიგნებები ----------3

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები ----------4

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ----------4

2.3 სამიზნე ჯგუფი ----------5

3. კვლევის შედეგები ----------5

3.1 სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალები----------5

3.2 ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, თანამედროვე მეთოდები/ტექნოლოგიები ----------6

3.3 მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზის შეფასება ----------7

3.4 საჭიროებები ----------8

დასკვნა ----------8

რეკომენდაციები ----------8

მოკლე მიმოხილვა

სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით კმაყოფილების კვლევა ჩატარდა ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ 2022 წელს. მასში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის (გურჯაანი, ს. კაჭრეთი; დედოფლისწყარო, ს. სამრეკლო; ლაგოდეხი, ს. შრომა; ახმეტა, ს. ქვემო ალვანი) პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით კმაყოფილების დადგენა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძო სტრუქტურიზებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კვლევა გახლავთ ანონიმური და შევსების პლატფორმად გამოყენებულია Google forms-ი. კვლევის ფარგლებში სტრუქტურიზებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ გაეგზავნა 114 მასწავლებელს, ინტერვიუ შეავსო 96-მა მასწავლებელმა.

1. ძირითადი მიგნებები

სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალები

- კვლევის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებმა შეაფასეს კოლეჯის სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსები, მასალები, სახელმძღვანელოები კითხვარის საშუალებით. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები კმაყოფილი არიან კოლეჯის სასწავლო რესურსებით/სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობით.

ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, თანამედროვე მეთოდები/ტექნოლოგიები

- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ლექციების დროს თვალსაჩინოებებსა და რესურსებს. ასევე ლექციის დროს იყენებენ თანამედროვე მეთოდებს/ტექნოლოგიებს. მაღალი პროცენტითაა შეფასებული მოდულში მითითებული რესურსების გამოყენება და ბიბლიოთეკით სარგებლობა.

მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზა

- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლები ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნევენ კოლეჯის მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზას და მის აღჭურვას.

საჭიროებები

- კვლევის ფარგლებში მიცემული შესაძლებლობის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებმა დააფიქსირეს საკუთარი სურვილები და საჭიროებები. მათგან მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების მიმართ ტრენინგების ინტერესი და წარმატებული გაკვეთილების გამოცდილების გაზიარების სურვილი.

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯ „აისი“-ის პროფესიული განათლების მასწავლებლების მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით კმაყოფილების შესწავლა. აქედან გამომდინარე შემუშავდა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო რესურსებითა და სასწავლო მასალებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, თანამედროვე მეთოდებით/ტექნოლოგიებით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზით კმაყოფილების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებისთვის საჭიროებების დადგენა.

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კვლევის მეთოდი. ამ მეთოდის შერჩევა განაპირობა საკვლევი საკითხების სიმრავლემ და სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის შეგროვების საჭიროებამ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გვაძლევს საკვლევი აუდიტორიიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადებისა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ასევე აღნიშნული მეთოდი არის სანდო წყარო თავისი ანონიმურობიდან გამომდინარე და ასახავს რეალურ მონაცემებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციის მასწავლებლები. კვლევა ჩატარდა ანონიმურად, Google forms-ის პლატფორმაზე სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

მასწავლებლებს ელექტრონულ მეილებზე დაეგზავნათ კითხვარის შესავსები ლინკი და განესაზღვრათ გარკვეული დრო მათ შესავსებად. კითხვარის თავში განსაზღვრული იყო კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე შევსების ინსტრუქცია და ცხრილის ქულობრივი შეფასების განმარტება. კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა 114 მასწავლებელს. მიღებულია 96 პასუხი, დაახლოებით 84 %.

ცხრილი N1

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
პლატფორმა	Google forms
სამიზნე ჯგუფი	სსიპ კოლეჯის ‘აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლები
რესპოდენტთა რაოდენობა	96 რესპოდენტი
კვლევის არეალი	სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ფილიალი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	10 წუთი

კითხვარი შედგებოდა რამდენიმე თემატური კითხვისაგან:

- სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალები - რესურსები/სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, სასწავლო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული;
- ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, თანამედროვე მეთოდები/ტექნოლოგიები - თვალსაჩინოებები, თანამედროვე მეთოდები, ტექნოლოგიები, რესურსები, ბიბლიოთეკა;
- მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზა - საჭირო ინვენტარი და რესურსები.
- სურვილები და საჭიროებები - მასწავლებლების სურვილები და საჭიროებები.

2.3 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად, კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის მოქმედი მასწავლებლები. კვლევის პერიოდისთვის წარმოდგენილი იყო ჯამურად 114 მასწავლებელი, რომელიც გადანაწილებულნი არიან სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციაზე.

3. კვლევის შედეგები

3.1 სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალები

კვლევის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებმა შეაფასეს კოლეჯის სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალები სხვადასხვა კითხვარის საშუალებით. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები კმაყოფილები არიან კოლეჯის სასწავლო რესურსებითა და მასალებით, ასევე სახელმძღვანელოებითა და ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობით.

გამოკითხულთა შედეგების მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა კითხვამ: „სასწავლო რესურსები/სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო (100 %). ასევე ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება აქვს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის საკმარისი იყო (98 %).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N1-ზე.

გრაფიკი N1 კოლეჯის სასწავლო რესურსებითა და სასწავლო მასალებით კმაყოფილება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია პასუხების „დიახ და ნაწილობრივ“ შესაბამისი მონაცემები.



3.2 ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, თანამედროვე მეთოდები/ტექნოლოგიები

კვლევის ფარგლებში კითხვები დაისვა სსიპ კოლეჯის „აისი“ ლექციის დროს გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, თანამედროვე მეთოდებით/ტექნოლოგიებით კმაყოფილების შესაფასებლად. კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ 100 %-იანი შეფასება აქვს მოდულში მითითებული რესურსების გამოყენებას. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ასევე მაღალი პროცენტით აფასებს ლექციის დროს თვალსაჩინოებების და რესურსების გამოყენებას (98 %).

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N2-ზე.

გრაფიკი N2 ლექციური სწავლების მეთოდების შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია პასუხების „დიახ და ნაწილობრივ“ შესაბამისი მონაცემები.



3.3 მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზა

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები სსიპ კოლეჯის „აისი“ მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ.

ქულების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N3-ზე.

გრაფიკი N3 სსიპ კოლეჯის „აისი“ მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზის შეფასება.

***შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია როგორც მაღალი (8 დან 10 ქულამდე) შეფასება, ასევე შედარებით დაბალი (1 დან 7 ქულამდე) შეფასება.**



3.4 სურვილები და საჭიროებები

ერთ-ერთი საკვლევი საკითხი ეხებოდა სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლების მოსაზრებებსა და სურვილებს. კვლევაში მონაწილე მასწავლებლებს ჰქონდათ საშუალება ანონიმურად გამოეხატათ ის სურვილები, საჭიროებები ან/და პრობლემები, რასაც შეეძლო საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესება. პასუხებიდან ჩანს რომ ერთ-ერთ ინტერესის სფეროს წარმოადგენს კომპლექსური დავალებების უკეთ გაცნობა-დაუფლება, ასევე იყო მაღალი ინტერესი „სანიმუშო გაკვეთილების გამოცდილების გაზიარების“.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ, კვლევის მიზანი და ამოცანები მიღწეულია. შედეგებიდან მკაფიოდ ჩანს მასწავლებლების კმაყოფილება კოლეჯის „აისი“ სასწავლო რესურსებით და სასწავლო მასალებით, ლექციის დროს გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსებით, თანამადროვე მეთოდებით/ტექნოლოგიებით, სწავლების მეთოდებით და მატერიალურ-საგანმანათლებლო ბაზით. კმაყოფილებასთან ერთად გამოიკვეთა საჭირო ცვლილებები, რომლებიც ხშირად მეორდება მასწავლებლების კომენტარებში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგების ჩატარება და მასწავლებლებისთვის გამოცდილების გაზიარების კუთხით სტრატეგიის შემუშავება.

რეკომენდაციები

- დაიგეგმოს და ჩატარდეს ტრენინგები, ვებინარები მასწავლებლებისათვის კომპლექსური დავალებების შესახებ.
- შემუშავდეს და დაინერგოს საჩვენებელი/წარმატებული გაკვეთილის გამოცდილების გაზიარების სისტემა.
- შესაძლებლობის ფარგლებში ჩამოყალიბდეს და დაინერგოს საერთო მიმართულების მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სისტემა.